დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. **საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება-** გერმანული ფილოლოგია

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ფილოლოგიის ბაკალავრი

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 240 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი

4. **სწავლების ენა** - ქართული

5. **პროგრამის ხელმძღვანელები**

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - **ლედა ქობალია**
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - **ირინა ყრუაშვილი**

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში ან/დალიტერატურაში. სპეციალობის არჩევა ხდება მეორე სემესტრიდან;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი განათლება საერთაშორისო ხასიათს იძენს. აუცილებელია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის საერთო ევროპული განათლების სისტემის სივრცეში მოქცევა. საბაკალავრო პროგრამა ესადაგება სწავლების საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას, აქედან გამომდინარე, ***გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს*** საბაზისო ჰუმანიტარული, ზოგადფილოლოგიური და გერმანული ფილოლოგიის დარგობრივი, მეთოდოლოგიური კომპეტენციების და პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელებაში შემდგომ (სამაგისტრო) დონეზე და/ან დასაქმებაში საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნების პირობებში.

- ასევე, პროგრამის მიზანია მოახდინოს სტუდენტებისთვის გერმანული ენისა და გერმანული ლიტერატურის ისტორიის, ენის თეორიული დისციპლინების საფუძვლიანი ცოდნის ფორმირება, სწავლების პროცესში სავალდებულო B2+ დონემდე გერმანული ენის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და სავალდებულო ოთხი ენობრივი კომპეტენციის დახვეწა ევროპული ენობრივი ჩარჩოს შესაბამისად: მოსმენა–გაგება, საუბარი, კითხვა და წერა.

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად ფილოლოგიის ბაკალავრს აქვს გერმანული ფილოლოგიის დარგის ფართო ცოდნა, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების კუთხით და გაცნობიერებული აქვს დარგის ***შემდეგი კომპლექსური საკითხები:***

- გერმანისტიკის წარმოშობის ფილოლოგიური წანამძღვრების, გერმანული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის ისტორიის განვითარების ტენდენციები და ეტაპები, თეორიის ძირითადი ცნებები;
- გერმანული ენის ისტორიის საკითხების ქრონოლოგიურად ცოდნა, ენის დიაქრონიული განვითარების ცოდნა, სხვადასხვა პერიოდის გერმანულ ტექსტებზე ენათმეცნიერული ანალიზის მეთოდების ცოდნა;
- გერმანული ენის ფუნქციონალური სტილების ცოდნა: საქმიანი, სამეცნიერო, მხატვრული, პუბლიცისტური.
- თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ზოგადი პრინციპების ცოდნა, მხატვრული თარგმანის სპეციფიკის და გერმანულიდან ქართულად თარგმანის სპეციფიკის ცოდნა;
- გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის კუთხით სტუდენტმა იცის გერმანული ლიტერატურის ისტორიის განვითარების ეტაპები, მიმდინარეობები, ცალკეული ლიტერატურული ეპოქის მახასიათებლები: ძველი და შუა საუკუნეების ლიტერატურის ინტერპრეტაცია, ბაროკოსა და განმანათლებლობის პერიოდის ლიტერატურული პროცესები, გერმანული რომანტიზმისა და კლასიციზმის ეპოქის სკოლები და მიმდინარეობები; ახალი და უახლესი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორიის ძირითად ტენდენციები და ავტორთა შემოქმედება.
- გერმანული ენის პრაქტიკული კურსის ათვისების კუთხით კურსდამთავრებული ფლობს გერმანულ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა მიხედვით B2+ დონის შესაბამის ცოდნას (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს 4 ენობრივი კომპეტენციის ფლობას: **მოსმენა–გაგება, საუბარი, კითხვა და წერა.**

  მოსმენა–გაგება - *კურსდამთავრებულს შეუძლია მეცნიერული, მხატვრული, საზოგადოებრივ–პოლიტიკური ტექსტების მოსმენა–გაგება,* ესმის რთული არგუმენტაციის შემცველი მოხსენებები და ლექციები, შეუძლია გაიგოს მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციები და რეპორტაჟები, სალიტერატურო გერმანულ ენაზე ფილმების გმირების საუბრის შინაარსი; ესმის რთული ტექსტების ზოგადი შინაარსი აბსტრაქტულ, კონკრეტულ და ვიწროსპეციალურ თემებზე.

  საუბარი – წინასწარი მომზადების გარეშე შეუძლია დაუბრკოლებელი საუბარი როგორც დიალოგურ, ისე მონოლოგურ რეჟიმში გერმანული ენის მატარებლებთან, ასევე აქტიურად ჩართვა დიკსუსიაში ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე და საკუთარი აზრის დასაბუთება, შეუძლია აზრის მკაფიოდ და გასაგებად გამოხატვა საინტერესო საკითხებზე, ასევე საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა და მისი არგუმენტირებულად დასაბუთება. გააჩნია საკმარისი ლექსიკური მარაგი და საუბარში იყენებს რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს.

  კითხვა – შეუძლია გერმანულ ენაზე დაწერილი ტექსტის სწორად წაკითხვა გერმანულ ენაში არსებული ბგერათშეთანხმებების გათვალისწინებით, შეუძლია სტატიების და სხვადასხვა ინფორმაციების წაკითხვა და საავტორო პოზიციის აღქმა–გაგება, თანამედროვე ლიტერატურული ნაწარმოებების, სამეცნიერო ნაშრომების, საზოგადოებრივ–პოლიტიკური ტექსტების, მასმედიის მასალების ტექსტების კითხვა და აღქმა–გაგება.

წერა – შეუძლია მრავლისმომცველი ინფორმაციის წერა სხავდასხვა საკითხებზე, ესეების , მოხსენებებისა და წერილების წერილობით ფორმით გადმოცემა, არგუმენტების ფორმულირება, სხვდასხვა ჟანრის ტექსტების (მხატვრული, პუბლიცისტური, ეპისტოლარული, საზოგადოეობრივ–პოლიტიკური) წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია გერმანული ფილოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, კერძოდ:

- სტუდენტს შეუძლია გერმანული ენის B 2+ დომეზე პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვა, გერმანულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, მოსმენა, გაგება, თარგმნა, ანალიზი, ინტერპრეტაცია, ენის ეფექტურად გამოყენება; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება და გადმოცემა, გერმანული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენება; სხვადასხვა გერმანული ტექსტების რეფერირება, რეზენზირება, ანოტირება.
- გერმანული ენის ფუნქციონალური სტილების გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა მიზნებისათვის საქმიანი, სამეცნიერო, მხატვრული და პუბლიცისტურ ტექსტებში.
- ენათმეცნიერული და ლიტერატურული პროცესების შეფასება და ანალიზი;
- გერმანული ენის B 2 + დონეზე ფლობის შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია აბსტრაქტულ და კონკრეტულ თემებზე შედგენილი რთული გერმანულენოვანი ტექსტების საერთო შინაარსის ანალიზი, მათ შორის ვიწროსპეციალური ტექსტების, სხარტი და სპონტანური საუბარი, მუდმივი კონტაქტი ენის მატარებლებთან ყოველგვარი სირთულის გარეშე, ზუსტი, ყოვლისმომცველი მოხსენებების გაკეთება სხვადასხვა თემებზე და საკუთარი ხედვის და აზრის გამოხატვა არსებულ პრობლემაზე, კომპეტენციების ფლობა ვერბალური კომუნიკაციის ოთხი ფორმით: მოსმენა–გაგება, საუბარი, კითხვა და წერა.
- შეუძლია მცირე ზომის წერილობითი ნაშრომის, ესეს, სასწავლო კურსის შინაარსისა და მეთოდიკის ამსახველი ტექსტის შესრულება, რაღაც ძირითადი გრამატიკულ-ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით და გრამატიკული ნორმების დაცვით.

დასკვნის უნარი - საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია გერმანული ფილოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სწავლის პროცესში აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

- გერმანული ფილოლოგიის დარგში ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარება; გერმანული ენათმეცნიერებასა და ლიტერატურაში არსებულ პრობლემათა იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის გზების, მეთოდებისა და მიდგომის თაობაზე ინფორმაციის შეგროვებისა და დასაბუთებული ინტერპრეტირების ჩვევების გამომუშავება; პროფესიულ სფეროში სიახლეების კრიტიკულად შეფასებისა და ანალიზის უნარის გამომუშავება და მათი საშუალებით პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესება; სწავლისა და სწავლების მეთოდების შერჩევა

და მათი გამოყენება გერმანული ფილოლოგიის სფეროში დაგეგმვის, შემოწმება-შეფასების, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანისა და ანგარიშის შედგენის უნარ_ჩვევების დემონსტრირებაში; ფილოლოგიური ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია.

კომუნიკაციის უნარი - საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია გერმანული ფილოლოგიის სფეროში იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და გერმანულ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.

- კურსდამთავრებულს აქვს გერმანულ ენაზე პროფესიულ საზოგადოებაში ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კულტურა;
- კურსდამთავრებულს შეუძლია პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, პრეზენტაციის მომზადება და მისი ზეპირი წარმოდგენა; აქვს გერმანული ენის ცოდნა **B2+** დონეზე; შუეძლია აზრის ნათლად, ლოგიკურად და დახვეწილ ქართულ და გერმანულ ენაზე გადმოცემა წერილობითი ფორმით;
- შეუძლია პროფესიულ საზოგადოებაში როგორც ქართულ, ასევე გერმანულ ენაზე დარგის ირგვლივ პოლემიკასა და მსჯელობაში ჩართვა. გამომუშავებული აქვს კითხვის, ზეპირმეტყველების, წერისა და მოსმენის უნარ-ჩვევების ისეთი დონე, რომელიც საშუალებას მისცემს მას თავისუფლად გამოიყენოს მიღებული ცოდნა კომუნიკაციის დროს და პროფესიული საქმიანობისას; ჩამოყალიბებული აქვს აკადემიური წერის უნარ-ჩვევები; შეძლებს ნაშრომის წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ზეპირ წარდგენას.
- შეიძინა **მეორე უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული ან რუსული)** დონის ენოვრივი კონპეტენციები, რის შედეგად მას ესმის ცალკეული წინადადებები და ხშირად გამოყენებული გამოთქმები ცხოვრების ძირითადი სფეროდან (ოჯახი, სამსახური და სხვ.) შეუძლია ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, რაც უკავშირდება მარტივი ინფორმაციის გაცვლას (ყოფით ან ნაცნობ თემებზე), შეუძლია ყოველდღიური ცხოვრების ძირითადი ასპექტების აღწერა.

სწავლის უნარი - საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; გამომუშავებული აქვს სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც თვითგანმსაზღვრელი ან დამოუკიდებელი სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა. კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნისა და პრობლემების გადაჭრის უნარის გამოყენებას ახალ ან უცნობ გარემოში თავის დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინურ) კონტექსტში. მას გამომუშავებული აქვს ავტონომიურად, დამოუკიდებლად მუშაობისა და თვითრეალიზაციის, ახალ სიტუაციაში ადაპტირების, განსხვავებულ სასწავლო პირობებში სწავლის უნარი, მას აქვს შინაგანი მოტივაცია, ფლობს პროექტის შემუშავებისა და მართვის, დაგეგმვისა და ორგანიზაციული საქმიანობის, რესურსების ოპტიმალური გამოყენების უნარებს. ჩამოთვლილი გარემოებები ხელს უწყობს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას ან /და მის ადაპტაციას ბაზრის გარემოსთან.

ღირებულებები - საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფის მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. ბაკალავრს აქვს: სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვისა და დაცვის უნარი, პიროვნული პასუხისმგებლობა; სხვათა მოსაზრებების პატივისცემა; მორალური და ეთიკური ნორმებისადმი ერთგულება. ბაკალავრი იცნობს გერმანული ფილოლოგიის განვითარების წყაროებს და გაცნობიერებული აქვს თანამედროვე მეთოდები და ღირებულებები; აცნობიერებს გერმანული ენისა და ლიტერატურის ფორმირების პროცესისათვის აუცილებელ მოსაზრებათა გამოყენებას, რომლის საშუალებითაც მიისწრაფვის ღირებულებათა დასამკვიდრებლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუძლია ენის როლის შეფასება და გერმანულის, როგორც მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალების, მნიშვნელობის განსაზღვრა, ასევე სხვადასხვა ჯგუფური ღირებულებების განსაზღვრა; მოლაპარაკებების წარმართვის უნარების გამომუშავება.

9. გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
უცხო ენა - 21 კრედიტი						**6**	**6**	**6**	**3**					
ა)	***ინგლისური ენა - დამწყებთათვის*** *(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)*													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	**6**	65	85	**6**								*წინაპირობა არ გააჩნია*
2.	ინგლისური ენა II (PreIntermediate A2)	ENGL B 002	**6**	65	85		**6**							*ENGL B 001*
3.	ინგლისური ენა III(Intermediate B 1)	ENGL B 003	**6**	65	85			**6**						*ENGL B 002*
ბ)	***უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით*** *(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)*													
1.	***უცხო ენა I*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2*	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	**6**	*65*	*85*	**6**								წინაპირობის გარეშე
2.	***უცხო ენა II*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1*	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	**6**	*65*	*85*		**6**							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	***უცხო ენა III*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2*	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	**6**	*65*	*85*			**6**						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
4.	***დარგობრივი უცხო ენა*** *- (ინგლისური, გერმანული,*	ENGL B 024 GERM B 024	**3**	35	40				**3**					ENGL B 003/ENGL B 013

	ფრანგული ან რუსული ენა) (ფილოლოგია)	FREN B 024 RUSS B 024												GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
5.	*აკადემიური წერა*	ACAD B101	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
6.	*ენათმეცნიერების შესავალი*	PHIL B101	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
7.	*საქართველოს ისტორია*	HIST B101	6	65	85	6								წინაპირობა არ გააჩნია
8.	*კლასიკური ენა /ლათინური/*	LAT B101	3	35	40	3								წინაპირობა არ გააჩნია
9.	*ფილოსოფიის შესავალი*	PHLS B101	3	35	40	3								წინაპირობა არ გააჩნია
ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 105 კრედიტი														
1.	ლიტმცოდნეობის შესავალი	PHIL B102	6	65	85		6							წინაპირობა არ გააჩნია
2.	გერმანული ფილოლოგიის შესავალი	GERM B101	3	35	40		3							წინაპირობა არ გააჩნია
3.	ლიტერატურის თეორია	PHIL B103	6	65	85			6						ლიტმცოდნეობის შესავალი
4.	ზოგადი ენათმეცნიერება	PHIL B104	6	65	85			6						ენათმეცნიერების შესავალი
5.	გერმანული ენა I (B1.1)	GERM B102	9	95	130		9							წინაპირობა არ გააჩნია
6.	გერმანული ენა II (B1.2)	GERM B103	6	65	85			6						გერმანული ენა I
7.	გერმანული ენა III (B1+)	GERM B104	6	65	85				6					გერმანული ენა II
8.	გერმანული ენა IV (B 2.1.1)	GERM B105	6	65	85					6				გერმანული ენა III
9.	გერმანული ენა V (B2.1.2)	GERM B106	6	65	85						6			გერმანული ენა IV
10.	გერმანული ენა VI (B 2+)	GERM B107	6	65	85							6		გერმანული ენა V
11.	გერმანული ენის თეორიული გრამატიკა	GERM B108	3	35	40				3					გერმანული ენა I - II
12.	გერმანული ენის ისტორია	GERM B109	3	35	40					3				გერმანული ენის თეორიული გრამატიკა, გერმანული ენა I - III
13.	გერმანული ენის ლექსიკოლოგია	GERM B110	3	35	40						3			გერმანული ენის თეორიული გრამატიკა, გერმანული ენის ისტორია
14.	თარგმნის თეორია და პრაქტიკა	GERM B111	3	50	75							3		*გერმანული ენა I - V*
15.	გერმანული ლიტერატურის ისტორია 1	GERM B113	6	65	85			6						*საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია*
16.	გერმანული ლიტერატურის ისტორია 2	GERM B114	6	65	85				6					*გერმანული ლიტერატურის ისტორია 1*
17.	გერმანული ლიტერატურის ისტორია 3	GERM B115	6	65	85					6				*გერმანული .ლიტერატურის ისტორია 2*
18.	გერმანული ლიტერატურის ისტორია 4	GERM B116	6	65	85						6			*გერმანული ლიტერატურის ისტორია 3*
19.	**საბაკალავრო ნაშრომი**	GERM B117	9	75	150								9	*პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები*

ძირითადი (major) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 21 კრედიტი														
(სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)											3	6+3	6+3	
20.	*გერმანიის ისტორია*	GERM B118	**3**	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
21.	*გერმანული ენის პრაქტიკული ფონეტიკა*	GERM B119	**3**	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
22.	*კორექტირება და რედაქტირება*	GERM B120	**3**	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
23.	*გერმანული რომანტიზმის ესთეტიკა*	GERM B121	**6**	65	85									*წინაპირობა არ გააჩნია*
24.	*აუდირება*	GERM B122	**6**	65	85									*წინაპირობა არ გააჩნია*
25.	*გერმანული ენის სტილისტიკა*	GERM B123	**3**	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
26.	*ანტიკური ლიტერატურის ისტორია*	GERM B124	**3**	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
27.	*გერმანული დრამის ისტორიული პოეტიკა*	GERM B125	**6**	65	85									*წინაპირობა არ გააჩნია*
28.	*გერმანული ენის ვარიანტები*	GERM B126	**3**	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
29.	*საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია*	GERM B127	**6**	65	85									*წინაპირობა არ გააჩნია*
30.	*შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში*	GERM B128	**3**	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
თავისუფალი კურსები (სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)			**9**				**6**			**3**				
დამატებითი(minor) პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა *(დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან)*			**60**						**12**	**12**	**12**	**12**	**12**	
ს უ ლ - 240 კრედიტი						**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - გერმანული ფილოლოგია

- **პროგრამის სახელწოდება** - დამატებითი (Minor) პროგრამა გერმანული ფილოლოგია
- **სწავლების ენა** - ქართული
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 60 (ECTS) კრედიტი /5 (IV-VIII)სემესტრი/ სემესტრში - 12 კრედიტი.
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - წინაპირობის გარეშე
- **პროგრამის მიზანი** - გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი განათლება საერთაშორისო ხასიათს იძენს. აუცილებელია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის საერთო ევროპული განათლების სისტემის სივრცეში მოქცევა. "გერმანული ფილოლოგიის" Minor პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება თანამედროვე გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაზო უნარების ათვისების პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის დამატებითი სპეციალობის შეძენის მსურველთათვის. მასში გათვალისწინებულია, როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ანვითარებენ მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ასევე სპეციალური პრაქტიკულ-თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებას ფილოლოგიის სფეროში. მთლიანობაში Minor პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენაზე. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური ანალიტიკური უნარების ფორმირებას, განვითარებას, კარიერული შესაძლებლობის გაფართოებას.
  პროგრამის მიზანია საბაზისო გერმანული ფილოლოგიის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნების პირობებში. ასევე, პროგრამის მიზანია მოახდინოს სტუდენტებს შორის გერმანული ენის ზოგადი ცოდნის ფორმირება, სწავლების პროცესში სავალდებულო B1 დონემდე გერმანული ენის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაზრდა და მიღწევა სავალდებულო ენობრივი ოთხი კომპეტენციის შესაბამისად: *ზეპირი მეტყველება, წერა, აუდირება და კითხვა.*

- **სწავლის შედეგები**

ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებულმა იცის:

  - გერმანული ენის პრაქტიკული კურსის ასპექტები, გერმანული ენის ფონეტიკური და ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები, ლექსიკური ფონდის სემანტიკური თავისებურებები. გერმანულ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის

დონეთა მიხედვით B1 დონის შესაბამისი ცოდნის ფლობა, კომპეტენციების ფლობა ვერბალური კომუნიკაციის ოთხი ფორმით: კითხვა, წერა, ზეპირმეტყველება და მოსმენა-აუდირება;

- გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის კუთხით სტუდენტმა იცის გერმანული ლიტერატურის ისტორიის განვითარების ეტაპები, მიმდინარეობები, ცალკეული ლიტერატურული ეპოქის მახასიათებლები: ძველი და შუა საუკუნეების ლიტერატურის ინტერპრეტაცია, ბაროკოსა და განმანათლებლობის პერიოდის ლიტერატურული პროცესები, გერმანული რომანტიზმისა და კლასიციზმის ეპოქის სკოლები და მიმდინარეობები; ახალი და უახლესი გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორიის ძირითად ტენდენციები და ავტორთა შემოქმედება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - კურსდამთავრებულს შეუძლია გერმანული ენის B1 დომეზე პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვა, გერმანულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, მოსმენა, გაგება, თარგმნა, ანალიზი, ინტერპრეტაცია, ენის ეფექტურად გამოყენება; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება და გადმოცემა, გერმანული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენება.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია გერმანული ფილოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სწავლის პროცესში აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, რომელიც გამოიხატება შემდეგში: სწავლისა და სწავლების მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენება დაგეგმვის, შემოწმება-შეფასების, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანისა და ანგარიშის შედგენის უნარ_ჩვევების დემონსტრირებაში; ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულს აქვს გერმანულ ენაზე ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კულტურა; შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობა, პრეზენტაციის მომზადება და მისი ზეპირი წარმოდგენა; აქვს გერმანული ენის ცოდნა **B1** დონეზე; შუეძლია აზრის ნათლად ჩამოყალიბება.

სწავლის უნარი - გამომუშავებული აქვს სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც თვითგანმსაზღვრელი ან დამოუკიდებელი სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა. კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნისა და პრობლემების გადაჭრის უნარის გამოყენებას ახალ ან უცნობ გარემოში თავის დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინურ) კონტექსტში.

ღირებულებები - აცნობიერებს გერმანული ენისა და ლიტერატურის ფორმირების პროცესისათვის აუცილებელ მოსაზრებათა გამოყენებას, რომლის საშუალებითაც მიისწრაფვის ღირებულებათა დასამკვიდრებლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუძლია ენის როლის შეფასება და გერმანულის, როგორც მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშულების, მნიშვნელობის განსაზღვრა, ასევე სხვადასხვა ჯგუფური ღირებულებების განსაზღვრა; მოლაპარაკებების წარმართვის უნარების გამომუშავება.

- **დამატებითი (Minor) პროგრამის სტრუქტურა**

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო სასწავლო კურსები-45 კრედიტი														
1.	*გერმანული ენა I (B 1.1)*	GERM B102	9	95	130				9					*წინაპირობის გარეშე*
2.	*გერმანული ენა II (B 1.2)*	GERM B103	6	65	85					6				*გერმანული ენა I*
3.	*გერმანული ენა III (B 1+)*	GERM B104	6	65	85						6			*გერმანული ენა II*
.	*გერმანული ენა IV (B 2.1.1)*	GERM B105	6	65	85							6		*გერმანული ენა III*
5.	*გერმანული ლიტერატურის ისტორია 1*	GERM B113	6	65	85					6				*წინაპირობის გარეშე*
6.	*გერმანული ლიტერატურის ისტორია 2*	GERM B114	6	65	85						6			*გერმანული ლიტერატურის ისტორია 1*
7.	*გერმანული ლიტერატურის ისტორია 3*	GERM B115	6	65	85							6		*გერმანული ლიტერატურის ისტორია 2*
არჩევითი სასწავლო კურსები-15 კრედიტი														
არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებიდან									3				12	*წინაპირობის გარეშე*
ს უ ლ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	